ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:g-135. 135223347
თარიღი:30/11/2022

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლისათვის ჯემალ გაბულდანის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 29/10/2020წ. N-1402. წარმოდგენილიქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს მომართვა: **მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოში საჯარო სკოლისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ჯემალ გაბულდანის სახელის მინიჭების შესახებ. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვეტილების მიღებისას იხემძღვანელა საქართველოს კანონმდებლობით** და წრმოდგენილი ფაქტებით ჯემალ გაბულდანის შესახებ, რომელიც **გმირულად შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. იგი 1993 წლის 5 ივლისს 22 წლის ასაკში დაიღუპა აფხაზეთის ომში, აგრეთვე** გაითვალისწინა ის გარემოება რომ,ზურაბ გურჩიანი სწორედ ამ სკოლის წარჩინებული კურსდაამთავრებულია. ამ განსაკუთრებული დამსახურებების, **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, „საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 194-ე ბრძანების მე-4[1] მუხლის „ბ“ პუნქტის, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 29/10/2020წ. N-1402 მომართვის, საინიციატივო ჯგუფის განცხადების საფუძველზე**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოში არსებულ საჯარო სკოლას მიენიჭოს **ჯემალ გაბულდანის** სახელი და სკოლის სახელწოდება ჩამოყალიბდეს წარმოდგენული რედაქციით ,,სსიპ **ჯემალ გაბულდანის** სახელობის მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლა“

2.მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების და თანდართული დოკუმენტაციის გადაგზავნა საკითხის ინიციატორებთან.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის“54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12)**

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი